ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3635217

ნომერი: AR1550492

თარიღი : 18.10.2017

გაცემის თარიღი : 24.10.2017

გაცნობის თარიღი : 24.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ივანე ბერიტაშვილის ქუჩა N21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ დოლენჯაშვილი პ/ნ 60001029460
- თბილისი ბერიტაშვილის მე2 შესახვევი #3,ბ.9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 აგვისტოს №3491933 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

18 ოქტომბრის №AR1550492 განცხადებით მომართა მოქ. ზურაბ დოლენჯაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 23 აგვისტოს №3491933 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 აგვისტოს №3491933 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა N21-ში შპს გეა ინვესტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: 01.10.18.011.016, მრავალბინიანი საცხოვრებლი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირებულია 145.3 კვ.მ ნაცვლად 254,5 კვ.მ-სა, საერთო ფართობად დაფიქსირებულია 1175,9 კვ.მ ნაცვლად 1273,3 კვ.მ-სა.
სამსახურმა 2017 წლის 18 ოქტომბრის №AR1550492 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 23 აგვისტოს №3491933 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2017 წლის 23 აგვისტოს №3491933 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 აგვისტოს №3491933 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 254,5 კვ.მ; საერთო ფართობად დაფიქსირდეს 1273,3 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 აგვისტოს №3491933 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 აგვისტოს №3491933 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.